

შპს „ჯეო როუდ“-ი

საქართველო, თბილისი,
გლდანის მე 3 მ/კ, 13ა კ, №41
ტელ.: +995 322 247369
მობ.: +995 593 275256

ელ.ფოსტა: Georoad2008@gmail.com
Georoad@mail.ru



LTD "Geo Road"
Gldani, III d/s, 13a #41
Tbilisi, Georgia
Tel.: +995 322 247369
Mob.: +995 593 275256
E-mail: Georoad2008@gmail.com
Georoad@mail.ru

№-17

*თვითმმართველი ერთეული ვანის
მუნიციპალიტეტის გამგებელს
ბატონ ზაზა ხურციდეს.*

მოგახსენებთ რომ ქ.ვანის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობასა და შ.პ.ს. „ჯეო როუდ“-ს შორის 05.03.2015 წ. დადებული № 40 ხელშეკრულების საფუძველზე, (კონკურსის უნიკალური №1482 გამოცხადების თარიღი 20.02.2015წ) შ.პ.ს. „ჯეო როუდ“-ის სპეციალისტების მიერ საკვლევაძიებო და კამერალური სამუშაოების ჩატარების შედეგად, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში, (ჩაბარების ვადა არაუგვიანეს 1 აპრილი 2015წ) შედგენილი იქნა ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დიხაშხოს თემის ცენტრიდან დედათა მონასტრის მიმართულებით, საავტომობილო გზისა და სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 7 000 (შვიდი ათას) ლარს. დღგ-ს ჩათვლით. (ორგანიზაცია დღევანდელი მდგომარეობით ირიცხება დღგ-ს გადამხდელად)

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილია ორ ტომად, თვითოეული 4 (ოთხი) ეგზემპლარად, შესაბამისი საექსპერტო დასკვნით, ელექტრონული ვერსიით, ნახაზებით PDF ფორმატში.

გთხოვთ მოახდინოთ ანგარიშსწორება.

პატივისცემით

შ.პ.ს. „ჯეო როუდ“-ის

დირექტორი:

1.04.2015წ



[Handwritten signature]

ვ.სამხარაძე

შ.პ.ს. “გლობალ ელ-დე პროექტი” LTD “GLOBAL L-D PROEQT”

30.03.2015 წელი

საექსპერტო დასკვნა

ვანის მუნიციპალიტეტის დიხაშხოს თემის ცენტრიდან დედათა მონასტრის მიმართულებით, საავტომობილო გზისა და სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაციის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

სამუშაო პროექტი შედგენილია შ.პ.ს. “ჯეო როუდ“-ის მიერ, თვითმმართველ ერთეულ ვანის მუნიციპალიტეტთან 05.03.2015 წ. დადებული № 40 ხელშეკრულების საფუძველზე, (კონკურსის უნიკალური №1482 გამოცხადების თარიღი 20.02.2015წ)

პროექტის მთავარი ინჟინერი ო. უნგიაძე.

ტექნიკური დავალებით, დამკვეთთან შეთანხმებით და საპროექტო გადაწყვეტილებით გათვალისწინებულია:

- მიწის ვაკისის ნაწილობრივ მოწყობა;
- გზის სამოსის მოწყობა; (ასფალტობეტონის საფარით)
- გზის სამოსის მოწყობა; (ცემენტობეტონის საფარით)
- მდ. სულორზე არსებული ხიდის რეაბილიტაცია
- ხელოვნური ნაგებობების მოწყობა
- გრუნტოვანი კიუვეტების მოწყობა
- რკ. ბეტონის კიუვეტების მოწყობა
- მიერთებების მოწყობა;
- გზის გვერდულების მოწყობა
- საგზაო ნიშნების მოწყობა

საპროექტო დოკუმენტაცია დამუშავებულია საველე-საკვლევადიებო მასალების საფუძველზე.

• მიწის ვაკისის სიგანე

- 4.5 ÷ 6.5 მ

- სავალი ნაწილის სიგანე - 4.0-4.5 მ
- გზის სამოსის ტიპი - კაპიტალური

შ.პ.ს. "ჯეო როუდ"-ის მიერ დამუშავებული სავალი ნაწილის მოწყობის სამუშაო პროექტში წარმოდგენილია საგზაო სამოსის მოწყობის ორი ტიპი.

ტიპი-I

ტიპი I (ასფ.ბეტ. საფარი)

არსებული ქვესაგები ფენის გაძლიერებისა და გრძივი და განივი მიკროპროფილის გასწორების მიზნით შემასწორებელი ფენის მოწყობა ქვიშა ხრეშოვანი ნარევით (ფრაქციით 0-70 მმ-მდე) k-1,22 შემდგომში მისი სატკეპნით შემკვრივება.

საფუძვლის მოწყობა ფრაქციული ღორღით ფრაქციით (0-40) მმ. სისქით- 8 სმ. (ГОСТ 25607-83) k-1,26 შემდგომში მისი სატკეპნით შემკვრივება.

- თხევადი ბიტუმის ემულსიის მოსხმა (0.6 ლ/მ²)
 - საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილ-მარცვლოვანი ფოროვანი ღორღოვანი ა/ბეტონის ცხელი ნარევით სისქით 5 სმ მარკა II (ГОСТ 9128-84)
 - თხევადი ბიტუმის ემულსიის მოსხმა (0.3 ლ/მ²)
 - საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილ-მარცვლოვანი მკვრივი ღორღოვანი ა/ბეტონის ცხელი ნარევით ტიპი "B" მარკა II სისქით 4 სმ (ГОСТ 9128-84)
- მისაყრელი გვერდულების მოწყობა ქვიშა ხრეშოვანი ნარევით, (ფრაქციით 0-70 მმ-მდე) k-1,22 საშ. სისქით 14სმ შემდგომში მისი სატკეპნით შემკვრივება

ტიპი II (ბეტ. საფარი) რთული რელიეფური მდგომარეობის მქონე მონაკვეთებში შემასწორებელი ფენის მოწყობა ქვიშა ხრეშოვანი ნარევით (ფრაქციით 0-70 მმ-მდე) k-1,22 შემდგომში მისი სატკეპნით შემკვრივება

საფუძვლის მოწყობა ფრაქციული ღორღით ფრაქციით (0-40) მმ. სისქით- 8 სმ. (ГОСТ 25607-83) k-1,26 შემდგომში მისი სატკეპნით შემკვრივება.

ბეტონის საფარის მოწყობა სავალ ნაწილზე სისქით 16 სმ არმირებით, ტემპერატურული ნაკერების მოწყობით და ნაკერების შევსება ბიტუმით.

ბეტონი **B22.5 F-100**

არმატურა ϕ 6 A-I

მისაყრელი გვერდულების მოწყობა ქვიშა ხრეშოვანი ნარევით, (ფრაქციით 0-70 მმ-მდე) k-1,22 საშ. სისქით 14სმ შემდგომში მისი სატკეპნით შემკვრივება

ხელოვნური ნაგებობები

მიწის ვაკისიდან ზედაპირული წყლების მოცილება პროექტით გათვალისწინებულია კიუვეტების საშუალებით. ხდება არსებული კიუვეტების ამოწმენდა და ახლის მოწყობა.

პკ0+22 ზე არსებული ბეტონის დარი ლითონის ცხაურის გადახურვით, პკ2+16 და პკ8+70 ზე არსებული სწორკუთხა და მრგვალი მილები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და აღდგენას არ საჭიროებენ.

ხოლო დანარჩენი არსებული წყალგამტარი მილები დაზიანებულია და შეცვლილია ახალი d-0.5 ლითონის მილებით.

მდ. სულორზე არსებული ხიდი (პკ 6+22-პკ6+40) L-18 გ-3.9მ საჭიროებს რეაბილიტაციას.

წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის მიმართ გაგვაჩნია შემდეგი სახის შენიშვნები და რეკომენდაციები:

საგზაო სამოსი

- რადგან გზის გარკვეულ მონაკვეთებში ეწყობა ცემენტო ბეტონის საფარი, ხიდის მისასვლელებზე (დიდი გრძივი ქანობის გამო) სასურველია მოეწყოს ცემენტო ბეტონის სავალი ნაწილი.

-საგზაო სამოსის მოწყობაზე ფრაქციული ღორღით მიყენებულია სამუშაოს შიფრი 11-1-2, უნდა განფასდეს № 27 კრებულიდან-საავტომობილო გზები-სამუშაოს შიფრი 27-43.

-თხევადი ბიტუმის მოსხმაზე მიყენებულია სამუშაოს შიფრი 8-4-7, უნდა განფასდეს № 27 კრებულიდან-საავტომობილო გზები-სამუშაოს შიფრი 27-251

მდ. სულორზე არსებული ხიდი

- ანკერების ჩამაგრება ბურჯის კედლებში დიამეტრით 12მმ. მიგვაჩნია არასაკმარისად, უმჯობესი იქნებოდა დიამეტრი 16მმ

- ბურჯების ფუნდამენტის ქვაბულის დამუშაოების დროს წყლის ფილტრაციის გამო შესაძლოა გაძნელდეს მუშაობა, ამიტომ უკეთესი იქნებოდა დამბის შიგნით გაითხაროს თხრილი იგივე სიმაღლის წყლის შესაგროვებლად და შემოდენილი წყლის ტუმბოებით მდინარეში გადაქაჩვა.

- რკბეტონის ფილებს შორის დეფორმაციული ნაკერების შევსება არ არის მითითებული. ნაკერები უნდა შეივსოს ბიტუმის მასტიკით.

-ლითონის მოაჯირის მოწყობაზე მიყენებულია სამუშაოს შიფრი 9-40-1 სასურველია განფასდეს 9-44-1 სამუშაოს შიფრის მიყენებით.

-ლითონის მოაჯირის შედგება ემაილს საღებავით. მიყენებულია სამუშაოს შიფრი 15-165-6 სასურველია განფასდეს 34-27-8 სამუშაოს შიფრის მიყენებით. ბურჯების ფუნდამენტის გამაგრება.

-მონოლითური საძირკველის მოწყობა, მიყენებულია სამუშაოს შიფრი 6-1-5 სასურველია განფასდეს 30-7-1 სამუშაოს შიფრის მიყენებით.

ზემოთაღნიშნული შენიშვნები და რეკომენდაციები გადაეგზავნა შ.პ.ს. "ჯეო როუდ"-ს შემდგომი რეაგირებისათვის.

დასკვნა

საპროექტო ორგანიზაციის მიერ დღეისათვის წარმოდგენილ კორექტირებულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში სრულად იქნა მიღებული და გათვალისწინებული ექსპერტიზის მიერ დაფიქსირებული შენიშვნები და რეკომენდაციები, ამასთან ერთად საპროექტო გადაწყვეტილებების მიღება და მათი ექსპერტიზა გარკვეულ ეტაპზე მიმდინარეობდა პარალელურ რეჟიმში, კერძოდ ექსპერტიზის მიერ გამოთქმული შენიშვნები უკვე ასახულია პროექტში, ამიტომ შენიშვნები არ გვაქვს, შესაბამისად წარმოდგენილ მუშა პროექტს ექვება რეკომენდაცია დასამტკიცებლად, საერთო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ღირებულებით: 424 655,99 ლარი.

შ.პ.ს. "ჯეო როუდ"-ის მიერ ზემოთ ხსენებულ ობიექტზე გაწეული მომსახურების ღირებულება - 7 000 ლარის ოდენობით მხარეებს შორის დადებულ ხელშეკრულებაში, ეჭვს არ იწვევს და ექვემდებარება შემსყიდველის მხრიდან ანაზღაურებას.

შ.პ.ს. "გლობალ ელ-დე პროექტი"-ს

დირექტორი პ. ძიძიგური

